№ 101 მაისი 15, სამშაბათი 1890 მაისი 15, სამშაბათი № 101


გაზეთის ფასი

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აკშალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 17 მაისს

პოლკოვნიკი ალექსანდრე ივანეს ძე მუსხელაშვილი გიორგი ნიკოლოოზ, დავით და სიმონ ბესარიონის ძენი ლოლობერიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას პირველი მეუღლისა და მეორენი დისა ანნა ბესარიონ ლოლობერიძის ასულისა მუსხელაშვილისა და სთხოვენ მათ დაესწრონ გარდაცვალებულის გამოსვენებაზე, მადლრის სახლიდამ № 102, მიხეილის ქუჩაზე დიდუბის ღვთისმშობლის ეკკლესიაში ოთხშაბათს, 16 მაისს, დილის 9 საათზე. პანაშვიდი გარდაიხდება დღეს 15 მაისს, სალამოს 7 საათზე. 1—1

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 31 ამა მაისისათვის გამგეობაში დანიშნულია ვაჭრობა განუმეორებლად გასაცემად ხუთის წლით იჯარით ქალაქის საშენ ქვის ქარხნისა, სახელწოდებით ეკლარისა, რომელიც იმყოფება მახლობლად სოფლის ჩოგნარისა ქუთაისის მაზრაში. ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ პირობათა შეტყობა შეუძლიან გამგეობაში ყოველ დღე, დილის ათ საათიდგან ორ საათამდინ. (3—2)

### ქართული თეატრი

—

გაიმართა ხელის - მოწერა გამოჩენილის ტრაგიკოსის ერნესტო როსსის და იმის დასის თითოეულ წარმოდგენის ბილეთების ცალკე.

შაბათს, 26 მაისს გაჰმართავენ
1 წარმოდგენას, მე-2 აბონემენტისას
**მეფე ლირი.**

კვირას, 27 მაისს
1 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**ოტელო.**

სამშაბათს, 29 მაისს
მე-2 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**ლიუდოვიკ მე-XI.**

ხუთშაბათს, 31 მაისს
მე-3 წარმოდგენა 2 აბონემენტისა
**ჰამლეტი.**

შაბათს, 2 თიბათვეს
მე-4 წარმოდგენა მე-2 აბონემენტისა
**კინი.**

კვირას, 3 თიბათვეს
მე-2 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**მაკბეტი.**

სამშაბათს, 5 თიბათვეს
მე-3 წარმოდგენა 1 აბონემენტისა
**დამნაშავის ოჯახი.**

ხუთშაბათს, 7 თიბათვეს
მე-4 წარმოდგ. 2 აბონემენტ.
**კორიოლანი.**

შაბათს, 9 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**ნერონი.**

კვირას, 10 თიბათვეს
მე-5 წარმოდგ. 1 აბონემენტ.
**შეილოკს,**
ანუ ვენეციელი ვაჭარი.

ფასები აფიშებზეა გამოცხადებული. ბილეთებში აღებული ფული ბ-ნის როსსის მოსვლამდე დასითურთ საკომერციო ბანკში ინახება. კასსა ღიაა დილის 10-დგან 2 საათამდე და სალამოს 5-დგან 7 საათამდე. (10—4)

## ძირითადი უკულმართობა

რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს.
გრ. ორბელიანი.

გაჰქრა ენა? გაჰქრა ხალხიც...
უშინსკი.

(შემდეგი*)

დედა-ენის გაცვლა უცხო ენაზედ მაშინაც-კი ადაბლებს კაცის გონებასა და უსუსტებს ზნეობითს ძალასა, როდესაც იგი სტოვებს თავის სამშობლო ქვეყანას, შორდება მის ბუნებას და ვარდება უცხო ბუნებისა და ცხოვრების გავლენის ქვეშ. ამ შემთხვევაშიაც იბადება წინააღმდეგობა კაცის ეროვნების და მის მეტყველების შუა და ამ წინააღმდეგობის წყალობით ეს გადაკარგული პირი რამდენიმე ხარისხით ძირს ჩამოდის სულიერად. თუ იგი გენიოსად იყო დაბადებული, გამოვა მხოლოდ უბრალო ნიჭიერი კაცი, თუ ნიჭიერად იყო გაჩენილი, საშუალო ნიჭის ადამიანი იქნება და თუ ბუნებისაგან დაყოლილი ჰქონდა საშუალო ნიჭი, მტკნარს სიტუტუცეზედ ჩამოხტება. ეს ხდება იმიტომ, რომ ეროვნული აგებულება ყოველს კაცს ძლიერ ღრმად აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში და ამ აგებულების შეცვლა ითხოვს უცხო ბუნების და ცხოვრების მეტად დიდის ხნის გავლენას. მშვენივრად აქვს ახსნილი უშინსკის ეს სიმტკიცე ეროვნულ აგებულებისა: „შეხედეთ ადამიანებს, რომელნიც უცხოეთში გადასახლებულან, და თქვენ დარწმუნდებით, თუ რა გამძლეა ეროვნული ელემენტი კაცში. თაობანი სცვლიან ერთმანეთსა და მეათე თაობაც-კი ვერ შეხორცებია ამ ქვეყნის ხალხის ორგანიზმსა, დარჩენილია გარეშე, თითქო უსულო რამე შეუჩხირიათო. შეიძლება ადამიანმა კიდეც დაივიწყოს სახელი თავის სამშობლოსი, მაგრამ ეროვნული ხასიათი-კი ზედ შერჩება, ვიდრე ახალ-ახალი ტალღები უცხო სისხლისა არ წაშლის მას. ასე ღრმად ჩასდგა ქვეყნის შემოქმედმა საძირკველი ეროვნებისა ადამიანის ბუნებაში“.

შეადარეთ ნიჭით, მხნეობით და სულიერის ძალით ჩამომავალნი ქართველთა, რომელნიც ამ საუკუნის დამდეგს გადასახლდნენ რუსეთში, იმათ წინაპართ, და თქვენ დაინახავთ, რომ რამდენადაც ეს უკანასკნელნი იყვნენ ძლიერნი, იმდენად პირველნი არიან უძლურნი და ყოველს მნიშვნელობას მოკლებულნი. მაშინ, როდესაც ვახუშტი, იოსებ სამებელი და მათნი თანაშემწენი, თვით უკიდურეს გაჭირებით გარემოცულნი, რუსეთში ნაყოფიერად შრომობდნენ ქვეყნისათვის და ღრმა კვალი დასტოვეს ჩვენ ცხოვრებაში, ახლანდელი რუსეთის ქართველები, ათასჯერ უკეთესს მდგომარეობაში მყოფნი, ყოვლად გამოუსადეგარნი არიან საქართველოსათვისაც და რუსეთისათვისაც. პირველისათვის იმიტომ, რომ იგინი დაბადებიდგანვე მოკლებულნი არიან დედა-ენას, სამშობლო ბუნებისა და ცხოვრების გამაცხოველებელს ზედ-გავლენას; მეორესათვის იმიტომ, რომ ჩამომავლობითი აგებულება, სისხლისა და ნერვების თვისება აქამდის ეწინააღმდეგება მათს ახალს ენას, ახალს ბუნებასა და ცხოვრებას. იგინი მოგაგონებენ საბრალო კახურს ვაზსა, თავის სამშობლოდგან ჩრდილოეთს გადარგულს, რომელიც, მოკლებული თავის შესაბამს ნიადაგს, ღონიერ და გემრიელ ღვინის მაგიერ აყენებს მჟავე და წყალ-წყალა სასმელსა.

თუმცა უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში იმასაც, რომ ერთის უცხო ენის მაგივრად ჩვილს ბავშვებს ასწავლიან ორსა და სამს უცხო ენას ერთად. ეს გახლავთ ორ-კეცი და სამ-კეცი უკუღმართობა, რომელსაც მოსდევს სწორედ საშინელი შედეგი ბავშვის გონებისა და ხასიათისათვის. იშვიათის ნიჭის ბავშვი უნდა იყოს, რომ გაუძლოს ამ უკიდურესს უგუნურებასა და არ გატუტუცდეს. ამ შემთხვევაში ენები ერთმანერთს ხელს უშლის, ერთი ენა მეორეს არ აცლის გიდგას ფესვები ბავშვის ბუნებაში, შეუხორცდეს იმის სახსოვარსა და გონებას. ბავშვის აზრი და გრძნობა მოკლებულია შეძლებას შეიმოსოს რომელიმე განსაზღვრულ მეტყველების ტანისამოსით და ამის გამო იხუთება, უდღეურდება. ბავშვი უხეიროდ სწავლობს. ლატაკს რუსულს, ლატაკს ფრანციულს, ლატაკს ნემეცურს და ჰხდება საზოგადოდ ლატაკს მეტყველების პატრონი. „ჩვენ გვინახავს ბავშვებში ამ გვარად აღზრდილნი, ამბობს იგივე უშინსკი. ესენი ყოფილან ან მტკნარნი ტუტუცნი, ან სრულიად მოკლებულნი რაიმე შემოქმედებითს ძალასა, რომელიც იპოვება თვით სუსტ-გონებიან ბავშვშიაც კი, თუ იგი დაძახინჯებული არ არის უკუღმართის აღზრდით. ამ დამახინჯებულის ბავშვების ნახვა თვალებს აუხელდა იმ მშობლებს, რომელნიც მზგავსადვე ზრდიან შვილებსა. საბრალო ბავშვებო! რა საშინელი მკვლელობა ჩაუდენიათ თქვენ მშობლებს. მათ თქვენ არამც თუ მოუწყვეტნიხართ სამშობლოსა, პოეზიასა, ხასიათსა,

სასულიერო საზრდოს, არამედ ადამიანები გადაუქცევიხართ სამასხარო თოჯებად, თანახმად მოდის მოთხოვნილებისა“.

უგუნური მშობლები-კი, როდესაც თავის ჩვილს ბავშვებს რამდენსამე ენაზედ მოტიტინეს ჰხედავენ, აღტაცებაში მოდიან და დიდებულის მომავლის თანხად სთვლიან ამას. ის-კი არ იციან, რომ ამ გვარის აღზრდით თავის შვილების მომავალს საფლავში ჰმარხავენ თავისისავე ხელებით.

ზოგნი დედა-ენას უარს არა ჰყოფენ, მაგრამ მასთან ერთათ ჩვილ ბავშვებს ასწავლიან ერთს რომელსამე სხვა ენას. ხშირად ჰხდება ისე, რომ მშობელნი ელაპარაკებიან ერთს ენაზე, გამდელნი და მოსამსახურენი მეორე ენაზე. ამ გვარის მშობლების აზრით, მათნი შვილნი ექვსიშვიდის წლის განმავლობაში ისწავლიან ორს ენასა, და წინ გაუსწრობენ იმ მშობელთა შვილებს, რომელთაც მარტო დედა-ენაზე ელაპარაკებიან, მაგრამ ძლიერ სტყუვდებიან. თუმცა ეს წესი ისეთი დამღუპველი არ არის, როგორც ერთათ სწავლება რამდენისამე უცხო ენისა, მაგრამ მისი მავნებლობაც აშკარაა. ჩაბეჭდილებანი უცხო ენისა ასუსტებენ და შლიან დედა-ენის ჩაბეჭდილებათა, ბავშვს ხან ერთი ენა ავიწყდება, ხან მეორე და დედა-ენას იგი მეშვიდე წელიწადში ხმარობს ისე, როგორც ნამდვილი ქართველი ბავშვი მეოთხე წელში. ენის განვითარების შეყენებას მიუცილებლად მოსდევს აზრისა და გრძნობის შეფერხება და ამიტომ ამ გვარად აღზრდილნი ბავშვნი უკან რჩებიან თავის ტოლებს როგორც მეტყველებაში, ისე აზროვნებაში.

ზოგნი სცვლიან ბუნებრივს რიგს ენების სწავლებაში და ჯერ აკვნიდგანვე ასწავლიან რომელსამე უცხო ენასა და შემდეგ დედა-ენაზედ აწყებინებენ ლაპარაკს. რომ ეს უკულმართი წესი მავნებელი უნდა იყოს ბავშვისთვის და გონების გახსნა უნდა დაუგვიანოს და შეუსუსტოს მათ, ეს მკითხველმა უკვე კარგად იცის; მაგრამ სავალალო აქ კიდევ სხვა ვნებაა. დედა-ენა იმითია კაცისათვის ძვირფასი, რომ ღრმად იდგამს ფესვებს მის ბუნებაში, ძლიერ შველოს და ეწევა აზროვნობისა და მგრძნობიარობის სიღრმესა. ხოლო უცხო ენა, როგორც ვსთქვით, ვერას დროს ვერ ჩაატანს ღრმად კაცის ბუნებაში, როგორც მისთვის შეუსაბამო ნიადაგში, და ვერას დროს ვერ გაუწევს დედა-ენის სამსახურს კაცის აზროვნობას და გრძნობას, და არამც თუ ამ შემთხვევაში თითონ უცხო ენა კაცის ბუნების ზედა-პირზედ ცლიკინობს, დედა-ენისათვისაც უკვე შეუძლებლად ხდის ღრმად გაიდგას ფესვები, რადგანაც, ერთის მეურყეველის ფსიხოლოგიურ კანონის ძალით, პირველი ენის ჩაბეჭდილებანი გზაზედ ელობება მეორე ენის ჩაბეჭდილებათა, არ უშვება ქვევით და სტო-

შემთხვევაში უცხო ენა მოგაგონებთ იმ ავს ძაღლსა, რომელიც თივაზედ იწვა, ვერც თითონა სჭამდა და არც სხვას აჭმევდა. ძირითადს კუნძულებს ბავშვის ბუნებისას გადელობება ხოლმე ზევიდგან უცხო ენა და ვერც თითონ უწევს მათამდის და აღარც სამშობლო ენას უშვებს ძირს. ამ გვარად აღზრდილ ბავშვებისაგანაც პედაგოგები კეთილს არაფერს მოელიან. „ამ გვარად აღზრდილი კაცი, ამბობს უშინსკი, ვერ შეიძლებს იოტის ოდენა რამე შეჰმატოს ხალხის გონებითს სიმდიდრეს, ვერ შეიძლებს უცხოური გადააქციოს ეროვნულად; ვერას დროს ვერ შეიგნებს თავის ერსა და ვერას დროს ვერც ერისაგან იქმნება იგი შეგნებული, იქნება უსარგებლო წევრი საზოგადოებისა, იქნება საბრალო კაცი, სამშობლოს მოკლებული, და მას ვერას უშველის თვით ცხარე პატრიოტობის მასკის ჩამოცმაც“.

ამ გვარი მავნებელი ზედ გავლენა აქვს დედა-ენის გაცვლას უცხო ენაზედ მაშინაც-კი, როდესაც ეს დედა-ენა განუვითარებელია, გაუშლელია, სდგას დაბალს ხარისხზედ და ღარიბია ყოველის მხრით. მით უმეტესად მავნებელი უნდა იყოს ზურგის შექცევა იმისთანა დედა-ენისა, როგორიც არის ქართული ენა, განვითარებული, გაშლილი, კულტურული, მდიდარი როგორც ლექსიკონით, ისე გრამატიკულის ფორმებითა და პატრონი სრულის ორგანიიზაციისა, უმაღლესის აგებულებისა.

მეორე მხრით, უცხო ენის მიერ გაძევება ბავშვის გონებიდგან დედა ენისა მაშინაც-კი დიდ ვნებას შესძლენის მას, როდესაც ეს უცხო ენა ახლო ნათესავია დედა-ენისა, ბევრით ჰგავს მას, ადვილად შეითვისების და ძლიერ არ ეწინააღმდეგება ბავშვის ფსიხოლოგიურსა და ფიზიოლოგიურს აგებულებასა. ჩვენი ქართული ენა ისეთს გასაკუთრებულს მოვლენას შეადგენს ენათა შორის და ლინგვისტიკაში, ისე ნაკლებად ჰგავს სხვა ევროპიულს ენებს, რომ ზოგნი მეცნიერნი იძულებულნი არიან აღიარონ იგი განცალკევებულის გუნდის წარმომადგენელად და არ მისცენ ადგილი არც ტურანულ და არც ინდო-ევროპიულ ენათა შორის.

ამის გამო ყოველი ევროპიული ენა, რომელიც-კი ქართველის ბავშვის გონებაში დაიჭერს დედა-ენის ადგილს, დაბადებს წინააღმდეგობას მის სიტყვიერების და აგებულობის შორის და მის გონების ვარჯიშობას, თავისუფალს მოძრაობას და გახსნილობას სწორედ ისევე დაუშლის, როგორც ჩვენს სხეულს აბოკოლებს მოძრაობაში შეუსაბამო ტანისამოსი, რომელიც ზედ არ არის გამოჭრილი, ზოგან ვიწროა, ზოგან განიერი, ზოგან მოკლე და ზოგან გრძელი. ამ შემთხვევაში ულრმესი მხარენი ბავშვის ბუნებისა რჩებიან უსაზრდოოდ, უვარჯიშოდ, ჭკნებიან და მიეცემიან ატროფიას, გაუქმებას. აქ ბავშვის ბუნებაც

*) იხ. „ივერია“ № 100.

ღრმა სიმსუქნის პატრონს მიწასა, რომელსაც იმის მაგიერ, რომ გუთნით მოხნან ღრმად, ზედგან სჩიჩქნიან ულონო კავით; ყანის აღზრდაში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ზედა პირი მიწისა, და ქვემოთა მისნი მსუქანი ნაწილნი კი უქმადა რჩებიან, და ამიტომ მოსავალი ამ გვარად მოხნულს მიწას მოჰყავს მკირე და მდარე.

დიაჰ, მხოლოდ დედა-ენას შეუძლიან გაუწიოს ბავშვს ბუნების ნიადაგის გულნებრივი სამსახური, მხოლოდ მას ძალ-უძს ღრმად შესძრას იგი, ჯეროვანად შეამუშაოს და აავარჯიშოს ძირიან-ფესვიანად. ხოლო ვინც დედა-ენის მაგივრად ხმარობს უცხო ენასა, ამ სუსტ ამჩიჩქნს კავს, იგი აუცილებლად აღზრდის თავის შვილებში ზედაპირობას აზრისას, ფუქსავატობას მსჯელობისას, ქარაფშუტაობას გრძნობისას და სისუსტეს ხასიათისას. ამ გვარად აღზრდილი ბავშვი თავის დღეში ვერ გამოსცდის იმ სანეტარო ღელვებას, რომელშიაც მოჰყავს ბუნების კანონზედ აღზრდილი ყმაწვილი ხელოვნურს სამშობლო ლექსს, თუ სხვა სამშობლოს ლიტერატურულს ნიჭიერს ქმნილებას, ვერას დროს მისი ნერვები ვერ გამოსცდის იმ საამურს ციებ-ცხელებას, გამაცოცხლებელს ჟრუანტელს, რომელსაც ჰბადავს ყველა დაუმახინჯებელს ყმაწვილში სამშობლო ჰანგი, სიმღერა, საუკეთესო გამომხატველი ერის სიხარულისა და ნაღველისა, — ვერას დროს ვერ იგრძნობს იმ კეთილშობილს გატაცებასა და აღმაფრენას, რომელსაც გამოიწვევს ხოლმე მოქმედება რომელისამე სამშობლო გმირისა.

ამითი არ თავდება სია იმ მავნე შედეგთა, რომელნიც მოსდევენ დედა-ენის უარ-ყოფას. მხოლოდ დედა-ენა ხსნის ყოველს ადამიანში ერთს განსაკუთრებულს ნიჭსა, მინიჭებულს ქვეყანაზედ მხოლოდ მეტყველის ადამიანისათვის. ამ ნიჭს ევროპიულს ენებზედ აქვს განსაკუთრებული ტერმინი, სახელი, და ქართული და რუსული ენა-კი მოკლებულია ამ ტერმინსა. ეს ნიჭი გახლავთ ალღო ენისა. მდგომარეობს იგი იმაში, რომ ბავშვიც-კი სრულის გრამატიკულის კანონების დაცვით თხზავს იმისთანა სიტყვებსა და ფრაზებს დედა-ენაზედ, რომელნიც არავისაგან გაუგონია, არ უსწავლია, და რომელნიც მის მშობლიურ ენის ბუნებას და ხასიათს სრულიად ეთანასწორებიან, ეთანხმებიან, თხზავს თავისებურად და ავარჯიშებს თავის მეტყველების შემოქმედებითს ძალას. როგორა ხდება ესა? ისე, რომ დედა-ენა გამომდინარეობს ბავშვის ბუნებიდგან, როგორც ხმა საკრავ იარაღიდგან, ანუ, სულ რომ მდაბიური გამოხატულება ვიხმაროთ, ბავშვი დაორსულებულია დაბადებიდგან დედა-ენით და მის გარშემო მყოფნი სულიერნი უფრო ბებიის როლს თამაშობენ, ვიდრე მასწავლებლისას. მაინც და მაინც თუ ბავშვი ერთის მხრივ სწავლობს დედა-ენასა, ითვისებს მას გარეგან ზედ-გავლენის ქვეშ, მეორე მხრივ შინაგანი მოთხოვნილებისა და მიდრეკილების წყალობით ჰქმნის მას, ბადავს, შობავს. ენის ალღო გახლავთ ერთად-ერთი წმინდა წყარო ენის გამდიდრებისა, მისის გაფურჩქვნისა, განვითარებისა, მრავალის თავისებურის სტილისა. მოაკლეთ ადამიანებს ეს ნიჭი, და ერის ენის სიცოცხლე შესდგება, შეჩერდება, გაქვავდება და დაშრება წყარო ცოცხალის მეტყველებისა. არც ერთს უცხო ენას არ შეუძლიან ავარჯიშოს ალღო ენისა; იგი არ გამომდინარეობს ბავშვის ბუნებიდგან, არამედ მთლად გარედგან შედის სახსოვრის შუამავლობით. იგი ბავშვის ორგანიზმთან არც ერთის ძაფით არ არის დაკავშირებული, შორს არის მის სულსა და გულზედ, მის მიდრეკილებასა და მიმართულებაზედ. ამიტომ ბავშვი უცხო ენას მხოლოდ სწავლობს სახსოვრითა და იხსომებს ყოველს სიტყვასა და ფრაზას და მთლად მოკლებულია შეძლებას შემოქმედებითი ძალა ამუშაოს, ალღო ენისა აავარჯიშოს და განივითაროს. ამითი აიხსნება ის კარგად ცნობილი მოვლენა, რომ არც ერთს მწერალს, რომელსაც-კი უცხო ენაზედ უწყვია წერა, არ შეუქმნია თავისებური სტილი და მეტ-ნაკლებობით ყოფილა უფხო და ღარიბის ენის პატრონი. აქედგან ცხადად დაისკვნება, რომ მოლაპარაკე მარტო უცხო ენაზედ მეტყველი არსებაა მხოლოდ გარეგნობით, ნახევრობით და უჭირავს შუალა ადგილი ადამიანთა და პირუტყვთა შორის. ეხლა წარმოიდგინეთ, რომ ამ ყოფაშია არა კერძო პირი, არამედ მთელი ხალხი. რას ეგვანება იგი? არსებათა ჯროვას, რომელნიც პირუტყვებს დაშორებიან და ადამიანებშიაც გამოწყვეტილან. რა ბედი მოელის ამ ხალხს? დაქვეითება, გალატაკება, დაცემა, ამოფხვრა, გაქრობა.

რომ შემოქმედებითი ძალა დიდს მონაწილეობას იღებს დედა ენის შეთვისებაში და უცხო ენის სწავლის დროს-კი უქმად არის, ამას აშკარად გვამცნევს ის ფაქტი, რომ ზოგჯერ უგონიერესნი და უნიჭიერესნი პირნი, სუსტის სახსოვრის პატრონნი, მთელს თავისს სიცოცხლეში ერთს უცხო ენასაც ვერ შეისწავლიან ხოლმე, თუმცა ბევრსა სცდილობენ, და ამავე დროს დედა-ენის ღრმა ცოდნაში და მის მარჯვე ხმარებაში ნამდვილს ვირტუოზობას იჩენენ და სამაგალითო, კლასიკურის ენითა სწერენ და ლაპარაკობენ. ამ გვარნი პირნი ბევრნი მოიპოვებიან ყველა ქვეყანაში, ევროპაში, რუსეთში, ჩვენში. მაგალითად საკმარისია დავასახელოთ სახელოვანი რუსეთის კრიტიკოსი ბელინსკი. იგი სწერდა და ლაპარაკობდა ისეთი მშვენიერი, ისეთი ძლიერი და ისეთი მდიდარი რუსული ენით, რომ ბადალი არა ჰყავდა და ახლაც არა ჰყავს. ამავე დროს მან გამოიჩინა საოცარი სისუსტე უცხო ენების სწავლაში და მთელს თავისს სიცოცხლეში, წინააღმდეგ თავის მხურვალე წადილისა და დიდის ხნის ცდილობისა, ვერ შეითვისა ვერც ნემეცური და ვერც ფრანციული, თუმცა ამ ენებს რუსულს ენასთან ახლო ნათესაობა აქვთ. ახლა წარმოიდგინეთ, რომ ბელინსკის უკულმართი მშობელნი ჰყოლოდა და ბავშობიდგანვე რუსულის ენის მაგივრად ესწავლებინათ უცხო ენა. რა გამოვიდოდა? ბელინსკი მოაკლდებოდა მშვენიერს ცოდნას დედა-ენისას, შეეხუთებოდა აზრი და გრძნობა და უცხო ენასაც ხეირიანად ვერ შეითვისებდა, — და ამისი პირდაპირი შედეგი იქნებოდა ისა, რომ იგი, სახელოვანისა და შეუდარებელის კრიტიკოსის ნაცვლად, გამოვიდოდა უხეირო მწერალი, ძალასა, თავისებურობასა და გავლენას მოკლებული...

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, 13 მაისს, აკურთხეს ნიში წმ. ალექსანდრე ნეველისა ტფილისის ალექსანდრეს ქვემო ბაღში აგებული სახსოვრად ხელმწიფე იმპერატორის სასწაულებრივის გადარჩენისა. მწირველი იყო ეგზარხოსი საქართველოსი. წირვა, წესი კურთხევისა და პარაკლისი გათავდა ნაშუადღევს მეორე საათზედ.

⁂ ფრანგების არტისტების დასი გათავა წარმოდგენები ოპერეტებისა და გუშინ გაემგზავრა ბათუმისკენ. იქიდამ დასი სტამბოლს წავა. ტფილისის საზაფხულო თეატრში მათ ადგილს დაიჭერს ამხანაგობა რუსეთის დრამატიულის არტისტებისა არტისტის ქალის სავინას მონაწილეობით. ამ ამხანაგობის პირველი წარმოდგენა დანიშნულია სხვალიოდ. წარმოადგენენ სუვორინის ოთხ მოქმედებიანს კომედიას „Татьяна Рѣпина“. რეპინას როლს ითამაშებს სავინას ქალი.

⁂ შარშან დაიბეჭდა ტფილისში ქართულად გეომეტრია, შედგენილი მიხ. ზ. ყიფიანის მიერ. ამ წიგნში მოთავსებულია მხოლოდ ერთი ნაწილი გეომეტრიისა, სახელდობრ, პლანიმეტრია. შემდეგი ნაწილები: სტერეომეტრია, უმდაბლესი გეოდეზია და ტრიგონომეტრია ბ-ნს მ. ყიფიანს დიდი ხანია მზად აქვს და ამ ნაწილების დაბეჭდვასაც აპირებს. ლოგარითმები უკვე დაუბეჭდია კავკავში და ამ ჟამად თვით აქ იმყოფება, სხვათა შორის, გეომეტრიის დანარჩენის ნაწილების დაბეჭდვის საქმის დასამთავრებლადაც.

⁂ ამ ორის თვის წინად ტფილისში დაარსდა იაფი წიგნთ-საკითხავი შეუძლებელის ხალხისათვის ქ-ნის ს. არღუთინსკი დოლგორუკის მიერ. წიგნთ საკითხავში, რომელიც შუაბაზრის თავშია დაარსებული, არის ქართული, სომხური, რუსული და ფრანგული წიგნებიც-კი, წამოღება სახლშიაც შეიძლება საკითხავად და თვით იქვეც სამკითხველო ისეა მომართული, რომ მსურველს შეუძლიან შიგვე იკითხოს, რა წიგნიც უნდა. ფასი ამისათვის სულ იაფია, 2 კაპ., ხოლო სახლში წამოღება წიგნებისა ღირს თვეში 20 კაპ. შესაძლოა ისიც, რომ სოფლად მცხოვრებმა შეუძლებელმა ხალხმა, მღვდლებმა, თუ სოფლის მასწავლებლებმა თვეში ერთის აბაზის გადახდით თავისთვის საჭირო წიგნები, რუსული, ქართული, თუ სომხური მიიღონ ხოლმე სახლში საკითხავად. ამ სამკითხველოს ბევრმა აღმოუჩინა შემწეობა, როგორც კეთილს საქმეს, შეუძლებელთათვის დაარსებულს. სხვათა შორის ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ შესწირა თითოეული ეგზემპლიარი ყოველის ქართულის წიგნისა.

⁂ ტფილისის მზარეულებსა და ხელზედ მოსამსახურეებსაც განუზრახავთ დაიარსონ თავიანთთვის ერთმანეთის დასახმარებელი საზოგადოება. უკვე შეუდგენიათ კიდეც ამ საზოგადოების წესდება, რომელიც გაზ. „ახ. მიმოხ.“-ს უნახავს, და წარუდგენიათ ამ განზრახულ საზოგადოების რწმუნებით ბ-ნ გუბერნატორისათვის განსახილველად.

საზოგადოებას საგნად აქვს თავის გაჭირებულს წევრებსა და იმათ ოჯახობას დახმარება გაუწიოს ფულად ან სესხად მისცეს და ადგილებიც უშოვოს ხოლმე. საზოგადოებაში უნდა იყვნენ ნამდვილნი წევრნი და წევრნი დამხმარებელნი. ნამდვილ წევრად შესვლა მხოლოდ იმ კაცებს შეეძლებათ, რომელნიც ქალაქის კერძო სახლებში მსახურებენ და სასტუმროებსა, ტრაქტირებსა და ბუფეტებში არიან დახლიდრებად, მეკარეებად, მზარეულებად, ხელზედ მოსამსახურეებად და სხ. წევრად მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ მსურველს, თუ სულ ცოტა, ორის წევრისაგან არის რიგიან კაცად ცნობილი. ყოველმა ნამდვილმა წევრმა ამ თავით შესვლისათანავე უნდა გადაიხადოს 10 მან. და შემდეგ წელიწადში სამ-სამი მანათი, ხოლო წევრთ დამხმარებელთ ყოველ წლივ უნდა გამოერთვათ თხუთმეტი მანათი, ან შეუძლიანთ იმდენი თანხა შეიტანონ, რომ ამ თანხის წლიური სარგებელი შეადგენდეს 15 მან. თავის შეძლების გასაძლიერებლად მზარეულთა და ხელზედ მოსამსახურეთა საზოგადოება იმის ნებართვასაც ითხოვს, რომ შეგვეძლოს კონცერტისა, წარმოდგენისა, ბალისა, მასკარადისა და სხ. გამართვაცაო.

საზოგადოება წესდებით კისრულობს მზარეულისა და ხელზედ მოსამსახურის თანამდებობის ასრულებას კერძო სახლებსა და სასტუმროებში, ქირით აძლევს ჭურჭლეულს, სუფრის იარაღს და თეთრეულს ბალისა, სადილისათვის და სხ., კერძო სახლებისა და სასტუმროებისათვის მოსამსახურეებსა ჰშოულობს, თავის წევრებს ბინას უძებნის. ამასთან საზოგადოება თითონა კისრულობს პასუხის-გებას იმ მოსამსახურისას, რომელიც იმის რჩევით აუყვანიათ და რომელიც ვალდებულია საზოგადოების გამგეობაში ყოველთვის წარადგინოს ხოლმე თავის დამქირავებლის მოწმობა, რომ ეს კაცი რიგიანად ასრულებდა თავის თანამდებობასაო. ამ რჩევისათვის საზოგადოება გარდასახადს ახდევინებს როგორც მოსამსახურის დამქირავებელს, ისე თვით დაქირავებულსაც. თუ საზოგადოების მიერ ნარჩევი მოსამსახურე ცუდად მოიქცა, დამქირავებელს შეუძლიან საჩივარი შეიტანოს საზოგადოებაში, რომელიც ბრალდებულს ბრალის კვალობაზედ ან სამ მანათამდე ჯარიმას გადაახდევინებს, ან დროებით გამორიცხავს წევრობიდგან და თავის მფარველობას მოაკლებს და ან სულ ერთიანად ჩამოართმევს წევრად ყოფნის უფლებას. ამისთანა საჩივართა აღსანუსხავად გამგეობას საზოგადოებისას ცალკე დავთარი ექნება. გამორიცხულს წევრს საზოგადოებისას ისევე შეუძლიან წევრად შესვლა მხოლოდ სამის წლის შემდეგ, ისიც იმ პირობით, თუ საზოგადოებას წარუდგენს მოწმობას იმისას, ვისთანაც უმსახურნია, რომ კარგის ყოფა-ქცევისა ყოფილა ამ ხნის განმავლობაში.

ყველა ამას გარდა, საზოგადოება კისრულობს დახმარებასა და შველას იმ წევრისა და იმ წევრის ოჯახობისას, რომელიც თხუთმეტს წელიწადზედ ნაკლებ არა ყოფილა ამ საზოგადოების წევრად.

წესდებით თავისი წლიური ანგარიში საზოგადოებამ გუბერნატორის დახმარებით უნდა წარადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტში. ყოველივე საქმე საზოგადოებისა უნდა ჰმართოს და განაგოს გამგეობამ, რომელშიაც სამი წევრთ-უსტაბაში იქნება და სამიც ამათი კანდიდატი. ეს ექვსი კაცი საზოგადოებამ უნდა ამოირჩიოს სამ-სამის წლით. თავმჯდომარეს საზოგადოებისას-კი თვით გამგეობა ირჩევს თავის წევრთა შორის.

⁂ დუშეთის მაზრის უფროსისაგან სამეურნეო საზოგადოებას მოუვიდა მთელი შუშა მატლი, რომელიც წლეულს გამოჩნდა ამ მაზრაში და რომელიც, როგორც „ივერიაშიაც“ იყო ნათქვამი, აოხრებს ყანებს. ეს ჭია გამოიკვლიეს მცოდნე კაცებმა და დუშეთის მაზრის უფროსს მისწერეს ცნობები ამ მავნებელ მწერის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ახალი მტერი ჩვენის ჭინახულისა ყოფილა ერთგვარი მატლი (жужелица), რომელიც უფრო მეტად აოხრებს შემოდგომის ნათესებს. მასთან საბრძოლად შემდეგ ღონის-ძიებას ურჩევენ: ა) იმ მინდორში, საცა მატლი გაჩენილა, უნდა გათხარონ $1^1/_4$ არშინის სიღრმეზე თხრილი. ამ თხრილში ცვივიან მატლები, რომელნიც შემდეგ უნდა მოხვეტონ ცოცხებით და გაჟლიტონ. მატლი რომ ჭიად იქცევა, მერე მიწიდგან გარედ გამოდის და თავთავს მაგრა ეკრობა. ამ დროს ეს ჭიებიც უნდა სიფრთხილით მოაცალონ თავთავს და გაჟლიტონ. ჭია ღამ-ღამე აოხრებს ყანას. ამიტომაც მათი დახოცვა ღამ-ღამობით უნდა, მაგრამ შეიძლება დღისითაც. ჭიები გორახებისა და ჭიმების ქვეშ იმალებიან ხოლმე. ეს გორახები უნდა გადააბრუნონ და მატლები და ჭიები გაჟლიტონ. გ) შემოდგომის სათესი ნაგვიანებად უნდა დაითესოს, რომ მატლს საჭმელი მოაკლდეს და დაიხოცოს; დ) მიწა ღრმად უნდა მოიხნას. ასე მოხვნის შემდეგ სასარგებლოა ხნულში შინაური ფრთოსანი იყოლიონ, აგრეთვე არ გააფრთხონ ყვავნი და ტარბნი. ეს ჭია თურმე მრავლად იცის რუსეთისა და სხვა ქვეყნების ზოგიერთ კუთხეებშიაც და დიდ ზარალს აძლევს ჭინახულს. ყოველ წლივ იგი ხან ერთ ქვეყანაში გაჩნდება და ხან მეორეში, საზოგადოდ-კი იმისთანა ადგილები უყვარს, საცა ხნა-თესვას მისდევენ.

⁂ ქ. ფოთი: იმ დეპეშამ, რომელიც ამ თვის ორს ტფილისდგან კერძოდ იყო მოწერილი აქ, შესახებ ფოთის ნავთ-სადგურის დამთავრებისა და ქ. ფოთის სავაჭრო „პორტად“ დამტკიცებისა, მთელი ქალაქის მცხოვრებლები, დღემდის იმედ მილეულ-მიწყვეტილები, გაახარა და დიდად ასიამოვნა... ამ დღეს სამაისოდ მოსული ხალხი: გურულები და მეგრელები მრავლად იყვნენ და სასიამოვნო ამბავმა საჩქაროდ მოირბინა მათში. მას დღეს აქეთ, სადაც-კი გაივლით ქუჩაზედ და ორ-სამს მოლაპარაკე კაცს ჰნახავთ, ყველასაგან უთუოდ ამას გაიგონებთ: „ახლა-კი სწორედ გვეშველება და ჩვენი წინანდელი დიდი ალებ-მიცემა, ბათუმში მოულოდნელად გაქცეულ-გადატანილი, ისევ ჩვენ დაგვიბრუნდებაო. ყველა მეპატრონე დაკარგულს მივიწყებულს ადგილებს გაფაციცებით ეძებს დღესა და სამძღვარ მიჯნასა ათ-

...ალიერებს სამოქალაქო შედგენილ...პლანულ ფურცლებში. ამ მხრითაც, ...ალაქის თვით მართველობამაც მიაქცია ყურადღება იმ მინებებულ მიტოვებულს ადგილებსა, რომელიც ...უდევნელობით კერძო პირების ხელში ჩავარდნილა და, ათს წელიწადზე მეტია, რაც მათ მფლობელობაშია.

*** იქიდამკე: აქაურმა თვით მმართველობამ უკვე გადაწყვიტა, რომ მომავალს სექტემბრისთვის მზად იყოს ახელოსნო განყოფილება აქაურს ...თხ კლასიანს სასწავლებელში. როგორც გავიგეთ, ხელოსანი მასწავლებელი ამ საქმისათვის უკვე დაუბარებიათ. ამ სკოლაში რომ წინანდელით ქართულს-ფრანგულს ენებს ასწავლიდნენ, მაშინ სწორედ საუკეთესო სკოლა იქნება საქართველოში.

*** სამტრედია: ყვავილი იყო სოფელს სამტრედიაში და ახლა განელდა. ორიოდე ადამიანი-კი იმსხვერპლა. აქეთ ქარია ძლიერ და გოლვაც დიდია. სიმინდის ფასები ისევ დაწეულია და ამის გამო უმთავრესი ძარღვი ჩვენის ცხოვრებისა აქეთ ძალიან და ძალიან მოდუნებულია, ოდნავ-ღა ფეთქავს. გაჭირებამ, ცხოვრების უფერულობამ, ანუ მდაბიოდ რომ ვსთქვათ, ...ესტობამ დაჰბადა უპირულობა, გაუტანლობა, ქურდობა, ცოდვა ეკკლესიების გატეხისა და მკრეხელობისა. ამ დღეებში სიმინდის და რაღაც ფულის ანგარიშების გამო ერთს აქაურს ...ვაჭარს და თავადიშვილს შორის კინაღამ უსიამოვნობა არ მოხდა. ნდობამ ერთმანეთისამ იკლო და ლამის მოისპოს. აქ გასტეხეს ახლად-აგებული ეკკლესია ნათლის მცემლისა და გაიტანეს ხუთი თუმანი ფული. იმ ღამესვე, რა ღამესაც სამტრედიაში ეს მოხდა, კულაშშიაც გასტეხეს ქურდებმა ეკკლესია, 15 მან. გაიტანეს, ბევრ რამისათვის-კი ხელი არ ეხლოთ არც ერთს ეკკლესიაში. სამი კაცია ამ საქმის გამო შეპყრობილი, რადგან პოლიციას გუმანი იმათზე აქვს აღებული.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს სიტყვით ტფილისში მალე გვექმნება სკოლა ყრუთა და ბრმათათვის. ამ სკოლის გამართვას აპირობს ვინმე აზნაური იარალოვი, რომელსაც პეტერბურგში გაუთავებია სწავლა. სკოლაში უსასყიდლოდ იქმნება სწავლება. ნება-რთვაც მის გამართვისათვის უკვე აღებულია მთავრობისაგანაო.

*** იმავე გაზეთს სწერენ დუშეთის მაზრიდამ, რომ ამ ჟამად აქ იმყოფება დირექტორი ტფილ. გუბ. საერო სკოლებისა ბ-ნი დარსკი და ახლა მაინც იმედია, რომ დაარსდება სკოლები სოფ. მჭადი-ჯვარსა და ზახორში, საცა, ვინ იცის, რაცა ხანია, განაჩენები შედგენილია სკოლის გამართვის თაობაზედ. სკოლები-კი ძლიერ საჭიროა ჩვენთვის, რადგან ჩვენს მაზრისთანა უკან დაწეული სხვა მაზრა არ გვეგულება არა თუ ტფილისის გუბერნიაში, არამედ მთელს საქართველოშიო.

*** მაისის 13, ღამის ოთხს საათზე, მუშტაიდის ბაღში იპოვეს თვისისავე ამხანაგისაგან მუცელში დაჭრილი სპარსეთის ქვეშევრდომი ალი-ყული-ჰასან-ოღლი. გამოძიება სწარმოებს. დამნაშავეს დაეძებენ.

*** ამავე დღეს ელისაბედის ქუჩაზე ნაჭდორნი სოვეტნიკს ლიგენშვეიჩის შესავალ კარებთან იპოვნეს სამის დღის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვი საბებო ინსტიტუტში გაგზავნეს.

*** მაისის 13, ღამის ათს საათზე, სიონის ქუჩაზე ტფილისის მცხოვრებელმა დარჩო ყაზაროვმა დანით დასჭრა მარჯვენა ლოყაში ტფილისისავე მცხოვრებელი გიორგი შერმაზანოვი. დაჭრილი სამკურნალოში გაგზავნეს. დამნაშავეს დაეძებენ.

*** ამავე დღეს პოლიციის მერვე ნაწილში, რიყეზე, მაწანწალა ძაღლმა დაჰკბინა მარჯვენა ბარკალში მეშჩერსკის პირუტყვთა საამკურნალოში მყოფი ფელდშერი კობელევი. ძაღლი მაშინვე მოჰკლა პოლიციელმა იუდინიმ. ძაღლი გააჭრევინა ქალაქის პირუტყვთა მკურნალმა შენ ფოგელმა და ცოფიანი აღმოჩნდა.

—

შეცდომის გასწორება: მე-97 №-ში, 8 მაისს, მესამე გვერდზე, მეორე სვეტში, მე-27 სტრიქონში, დაბეჭდილია შემომწირველთა სიაში ბათუმიდგან, ღ ლ ო ნ ტ ი 5 მან., უნდა იყოს ივ. მ ე ს ხ ი 5 მან. და სულ წინამძღვრიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ ბათუმში შეუკრებიათ 113 მან. 20 კაპ., რომელიც კუთვნილებისამებრ გადაეცა.

## † ანნა ბესარიონის ასული მუსხელაშვილისა.

კვირას, მაისის 13, დილით, ტფილისში გარდაიცვალა ანნა მუსხალაშვილის მეუღლე ლოლობერიძის ასული ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ.

ვინც-კი ბეჯითად თვალ-ყურის მდევნელია საქართველოში სწავლა-განათლების მოფენის საქმისა, უეჭველად იცნობს ანნა მუსხელაშვილის მეუღლეს, როგორც პირველ საქმის დამწყებს და ქართველ ქალების განათლების და სწავლებისთვის მზრუნველსა. მან ეს საქმე დაიწყო ერთ მიყრუებულ და მიგდებულ, ყველასგან დავიწყებულ მხარეში, სახელდობრ ახალციხეს; იგი აქ სცხოვრებდა. იმ ხანებში, 1860 წლებში, ჯერ არსად ლაპარაკიც-კი არ იყო დედათა სკოლებზე და კერძო კაცისაგან მათ გამართვაზე, როდესაც განსვენებული თავისის მოსიყვარულეს გულით მიხვდა მის მნიშვნელობას, იტვირთა თავისის მხნეობის იმედით ამ გვარის საქმის დაწყება და დააფუძნა კიდეცა დედათა სკოლა.

ეს საქმე ადვილი არ იყო იმ დროს და ისიც ისეთს მიყრუებულ ადგილას, როგორც ახალციხეა, საცა ქართველი საზოგადოება მეტად ღარიბია და ჰრელი. ღარიბ-ღატაკი ახალციხის მართველობა შესდგება მართლ-მადიდებელ და კათოლიკე სარწმუნოების საზოგადოებისაგან. ხანგრძლივის უსწავლელობით, უსკოლობით, სიღარიბისა და მრავალის სხვა მიზეზების გამო ხალხი გონება-დახშული იყო და სკოლას არამც თუ პირველ ხანებში, შემდეგაც მომხრე და შემწევნელი იშვიათად ეპოვებოდა. ამისთანა გარემოებაში და ამისთანა დროს მხოლოდ უსამზღვრო სიყვარულს, ბეჯითს შრომას და ერთგულს მხნეობას მიცვალებულისას შეეძლო დედათა სკოლის გამართვა და უზრუნველ-ყოფა მისი.

თუ არა ვცდებით, მის ხელთ შვიდ წელიწადი იყო პირველ ხანებში ეს სკოლა. ამ ხნის განმავლობაში ახალციხის საზოგადოებაშიაც აღძრა დედათა სწავლის სურვილი და რამდენიმე დამხმარე კაცებიც იშოვნა, რომელნიც ეწეოდნენ მოთავეს სკოლისათვის ნივთიერ ღონის-ძიების შოვნაში; გარემოებამ განსვენებულს საშუალება არ მისცა; მეტი ღონე არ იყო და უნდა სკოლას გამოსთხოვებოდა, თავის საყვარელს საქმეს, რადგან მისი მეუღლე გადაიყვანეს სხვაგან სამსახურში, მაგრამ იმედიანად იყო ადგილობრივ ახალციხის საზოგადოებაზე, რომელსაც გადასცა ეს სკოლა.

სკოლა, მართალია, არ გაუქმდა და კეთილის გულის კაცნი ეხმარებოდნენ, მაგრამ მისი სულის ჩამდგმელი-კი სკოლის ახლო აღარ იყო. საქმე ასე სწარმოებდა, სანამ განსვენებული ისევ არ დაბრუნდა ამ სამიოდე წლის წინად ახალციხეში. თავ-მინებებულის სკოლის გამობრუნება და ხელ-ახლად მკვიდრად დაყენების იმედი ჰქონდა, მაგრამ განსვენებულს ძნელმა სნეულებამ მოუსპო ღონისძიება და მხოლოდ გულის ტკივილით შესცქეროდა მის ახლანდელს უნუგეშო ყოფასა.

ანნა მუსხელაშვილისა ყოვლის პატიოსნებისა და სულის ღირსებით იყო შემკობილი, როგორც მეუღლე, როგორც საზოგადოების წევრი და როგორც ნიჭიერი ადამიანი. ყოველისავე კეთილის საქმისა, რაც-კი დაიწყებოდა ჩვენში, მუდამ თანამგრძნობელი იყო და დამხმარე. ახალციხეში პირველი გამავრცელებელი ქართულის წიგნებისა ის იყო და კორესპონდენტი, იყო წიგნების გამომცემელთა. აგრეთვე ის იყო ქუთაისში მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების უკეთესი მხნე მოღვაწე.

თავისის სულის ღირსებით, მხნეობით, კარგის ხასიათით, კეთილის მოყვარეობით ყოველ საზოგადოებაში იგი იყო საყვარელი, პატივცემული და იშვიათი დედაკაცი. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

## წვრილი ამბები

—

არგენტინის რესპუბლიკაში გრან-ჩაკოს უტყხსა და უღრანს ტყეებში ერთს კაპიტანს ხუთი გარეული ინდოელი დაუჭერია. ერთის ინდოელის შუბლზე ორი თითქმის თითო გოჯისოდენი რქა ჰქონია. ეს რქები შეხედულობით ძალიანა ჰგავს თურმე ირმის რქებს. „Gazetta di treviso“ ამბობს, რომ ეს გარემოება ამტკიცებს სხვა-და-სხვა მოგზაურის ნაამბობს, რომ „არგენტინის უტყხს ტყეებში სცხოვრობს მთელი განსაკუთრებული ტომი რქიანის კაცებისაო“.

— ხავსის ქაღალდს დიდი მომავალი ექნება. ახლა ხავსის ქაღალდს მარტო საწერად-კი არა, ათას ნაირ სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის ჰხმარობენ, რადგან იმდენად მაგარია, რომ შეიძლება იმისი ავეჯი, ყვავილის ქოთანი, და, ასე გასინჯეთ, ორთქლის-მავლის ბორბლებიც კი გააკეთონ. ბრესლავლის ერთს ქარხანაში ხავსის ქაღალდისას აკეთებენ თურმე ახლა ბუხრებს, საბანებლებს და სხვა-და-სხვა საჭმლის მოსამზადებელ ჭურჭელს.

— ნიუ-იორკში ორს იტალიელს ხანჯლების დუელი ჰქონიათ ჩაკეტილ ოთახში კარი და დაუწყიათ. ბრძოლა ორის საათის განმავლობაში ვერც ერთმა ვერ დასჭრა თურმე მამაცად თავისი მოპირდაპირე, მებრძოლნი ძალიან დაიღალნენ და ამიტომ სეკუნდანტებმა ცოტას ხნობით გააშველეს, დაასვენეს და, ასე გასინჯეთ, სადილიც-კი აჭამეს. მოპირდაპირეები თავის სეკუნდანტებითურთ სადილს ერთობ მხიარულად შეექცეოდნენ და ისე ბაასობდნენ და მასლაათობდნენ, თითქო თავის დღეში ერთმანეთისათვის ერთი საწყენი სიტყვა არ უთქვამთო. ბოლოს, როცა სადილი გაათავეს, მოასვენეს და ლონეზე დადგნენ, კვლავ დაიწყეს კიდევ უფრო გაცხარებული ბრძოლა. ერთმანეთს სასიკვდილოდ არა ჰზოგავდნენ და მარჯვედ, მხნედ და თავ გამომეტებით ებრძოდნენ. დასასრულ ორივემ სასიკვდილოდ დასჭრეს ერთმანეთი და იქვე დაეცნენ მირს. სეკუნდანტებმა ზეწრებში გამოჰხვიეს დაჭრილები და თავ-თავის სახლში წაიყვანეს. ერთმა მათგანმა გზაშივე დალია სული, რადგანაც თვალში მოხვედრილს ხანჯლის წვერს ტვინამდის მიეწია, და ცოტა ხანს შემდეგ-კი მეორეც გარდაიცვალა. ამას-კი მეტად ჰქვიათ თოთხმეტი სასიკვდილო ჭრილობა ჰქონდა თურმე. ამერიკის მთავრობას სეკუნდანტები შეუპყრია და ბრალსა სდებს, რომ თქვენ შეგიწყვიათ ხელი იმათთვის ერთმანერთის მოკვლის საქმეში და ამ გვარის შემწეობის აღმოჩენით კაცის კვლაზე არა უმძიმესი დანაშაული ჩაგიდენიათო.

— ამას წინად მონრეალში ჭკუა-შეშლილების სახლს გაჩენია ცეცხლი და ბევრი იქ მყოფი ჭკუა-შეშლილი გაჰქცეულა. მაგრამ მას უკანაც დღე არ გაგა თურმე ისე, რომ სახლი არსად გადაიწვას. ამბობენ, რომ ცეცხლის გაჩენამ იმნაირად იმოქმედა ჭკუა-შეშლილებზე, რომ ნაიდაგ ცეცხლი უდგათ თვალწინ და ეს ამდენის სახლის გადაწვა იმათი ბრალი უნდა იყოსო. პოლიციამ დიდის გაფაციცებით დაუწყებს თურმე ამ საბრალო სახლის-გადამწველებს, მაგრამ ჯერ მაინც ყველა ვერ უპოვნია.

— საფრანგეთის ებრაელნი რომის პაპს ოთხას ათას მანათს ჰპირდებიან, ოღონდ ძველ-ებრაულს ენაზე დაწერილ დაბადების ასლი მოგვეცაო. ეს ასლი დაცულია თურმე ვატიკანში.

— პარიჟის გამოფენაზე მისულა სხვათა შორის ავრიკელ ზანგების მეფე დინნახ-სალიფუ, რომელიც ნამდვილი ტიპი იყო დასავლეთ ავრიკის შავის ხალხისა. მხატვრები და მოქანდაკენი ჯერ სძღებოდნენ იმის მაღ ღონით სავსე სახისა და მშვენიერად აგებულისა და მოყვანილის ტანის ყურებით. უმისოდაც მოხდენილს ტანს კიდევ უფრო უმშვენებდა თურმე ძველი ბერძნული ტანსაცმელი. ამასთანავე მეფეს გონების გამჭრიახობაც ეტყობოდა და იმდენად მოიწონა ევროპის განათლება, რომ თავის სამეფოში მისვლის უმალვე შეუდგა ფრიად ძნიმე საქმეს და აპირებდა, თავის ხალხს ქვეშევრდომთა შორისაც გადანერგა ევროპის კულტურა. მაგრამ ცრუ-მორწმუნე ზანგები იმდენად აუღელვებია მეფის ასეთს კეთილშობილს განზრახვას, რომ ეს მბძანებელი, რომლის წინაშეც რამდენისამე თვის წინად მთელი ერი შიშით თრთოდა და ცახცახებდა, ახლა პირუტყვივით შეუბრალებლად მოუკლავთ.

## დეპეშები

### 12 მაისი

პეტერბურგი. უწმიდესმა სინოდმა მეოთხეჯერ მიტროპოლიტის მაკარის ორი არა-სრული პენსია, ე. ი. ათასათასი მანათი მიუსაჯა: მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს ალექსი პავლოვს „Пятидесятая глава кормчей книги“-ს (ორმოც-და-მეათე თავი იმ სასულიერო და სამოქალაქო კანონების წიგნისა, რომელიც პატრიარქ ნიკონის დროს იყო გამოცემული), სერგეი სუხკოვს იმის ჯერ დაუბეჭდველ თხზულებისათვის: „Противъ лжеученія о вселенскомъ главенствѣ римской церкви“ (იმ მოძღვრების წინააღმდეგ, რომელიც რომის ეკკლესიას მსოფლიოში მთავარ-ეკკლესიად აღიარებს). გამოცხადებულია, რომ მიტროპოლიტ მაკარის პრემიას მისაღებად კონკურსი 1 მაისიდამ გაიმართებაო.

ხელმწიფე იმპერატორმა ინება, რათა კიევის მიტროპოლიტს პლატონს ებოძოს სერბიის ორდენი „საევა“ პირველის ხარისხისა.

„Journal de St. Pétersbourg“-ი ამბობს, პანიცას საქმის გარჩევის დროს რომ უთქვამთ, ვითომც გენერალ დომონტოვიჩის გაგზავნას აპირობენ ბოლგარიაში, მართალი არ არისო, და ნამდვილის წყაროდგან შევიტყვეთ, რომ ეს ფიქრადაც არავის მოსვლიაო.

გუშინ, წმ. კირილისა და მეთოდის დღესასწაულზე, ისააკის საკათედრო ტაძარში წირვას დაესწრნენ უწმინდესის სინოდის წევრნი, სერბიის ახალი ელჩი პეტრონევიჩი და „სასლავიანო საქველ მოქმედო საზოგადოების“ წევრნი. გუშინ ქალაქის საბჭოს სახლში იყო წლიური კრება ხსენებულის საზოგადოებისა.

„Нов. Вр.“ იუწყება, რომ ლაპარაკია, შეადგინონ თუ არა ორენბურგელ ყაზახებისაგან გვარდიის ყაზახთა პოლკი. ჯერ განზრახვა აქვთ, ერთი ესკადრონი შეადგინონ.

„Новости“ იუწყება, რომ შემუშავებულია პროექტი კომისიების დაარსებისა ნავთ-საყუდლებში და ბირჟის კომიტეტებთან გაყიდულის საქონლის ავ-კარგიანობის შესატყობად და გამყიდველსა და მსყიდველს შორის მოსალოდნელის უსიამოვნების ასაცილებლად.

წარდგენილია განსახილველად პროექტი გზის გაყვანისა კამის სათავიდამ პეჩორის ქვეყანაში და ნაოსნობის დაწესებისა პეჩორის მდინარეზე.

მალე შედგენილ იქმნება პროექტი, რომლის აზრითაც სავალდებულო იქნება ერობათათვის სანიტარული აგენტები იყოლიონ.

### 13 მაისი

პეტერბურგი. „Нов. Вр.“-ს გაუგონია, რომ გადაწყდა, ვითომ პორტი უნდა იყოს თეოდოსიაშიო.

საერთი ერთო სასაპატიმრო კონგრესზედ პეტერბურგში 150 ოფიციალურად გამოგზავნილი წარმომადგენელი იქმნება და მათ შორის რამდენიმე ინსპექტორი ქალი „ყმაწვილების მავნე ხასიათების გადაკეთების სახლებისა“. ამ დღეებში უცხოელ წარმომადგენელთა მისაგებებლად წავლენ: მოხელენი თავადი კუდაშევი და კისტერი. სასაპატიმრო გამოფენის გამართვის შემდეგ გამოფენის წევრები დაიყლიან და დაათვალიერებენ საპატიმროებს: ერთი დასი ფინლანდიაში, ერთი მოსკოვს, სადაც რამდენიმე უცხოელი წარმომადგენელიც აპირობს აგრეთვე წასვლას.

„Гражданинъ“-ი იუწყება, რომ ხმა დადის ზღვის მოხელეთა შორის, ვითომ ამ ზაფხულს კრონშტადტში მოვა ავსტრიის ესკადრა ავსტრიის საიმპერატორო გვარეულობის ერთის წევრითურთაო.

„С.-Пет. Вѣд.“ იუწყება, რომ დამტკიცებულია კომისიის პროექტები სამეურნეო ნაწარმოების ფასის დაწევისა და აგრეთვე იმის შესახებ, რომ

გზის კეთების შეგარა გლეხებს ფულად გადახდევინონ, გზების კეთების საქმე საერო დაწესებულებათა ჩამოერთვასთ და გზათა სამინისტროს გადაეცეს, და რომ საჭიროა, რაც შეიძლება, მალე გაიყვანონ მრავალი შტონი გზებისა რკინის გზების სადგურებთან.

ᲙᲐᲜᲓᲘᲐ. ერთმა თურქელმა ჯარის-კაცმა წყლის პირზე დანით მძიმედ დასჭრა ერთი კრისტიანი და სხვა იქ გამვლელ კრისტიანებსაც ემუქრებოდა, მოგკლავთო. იქ მყოფმა ჟანდარმებმა ხმაც არ გასცეს ჯარის-კაცს; მაგრამ, ბოლოს, დაჭერილ იქმნა ყარაულ ჟანდარმების მიერ. ამ გარემოებამ ძალიან აღელვა კრისტიანე მცხოვრებნი.

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘ. როდესაც რუსეთის საელჩოს დრაგომანის მეუღლე და ასული და სხვა ქალები ერთად დასეირნობდნენ ბუიუნ-დერეს სანაპიროზედ, რუსეთის საელჩოს სახლის ახლოს, ხუთი აფიცერი, ოსმალეთის ერთს სამხედრო სასწავლებელში მოსამსახურეები, აეტორღიალნენ და უზრდელი ლაპარაკი დაუწყეს. ქალების ყვირილზე მოცვივდა რამდენიმე რუსის მატროსი, რომელნიც იმ დროს შემთხვევით რუსეთის საელჩოს ბაღში იყვნენ და დაიჭირეს ოთხი აფიცერი. ეს აფიცრები ახლა რუსეთის საელჩოს სახლში არიან დაპატიმრებულნი. მეორე დღეს, დილას, მეხუთე აფიცერიც დაიჭირეს და დააპატიმრეს. ამ საქმისთვის ხონთქრის მიერ განგებ მოწვეულმა სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა ხსენებულ აფიცრებს, დაპატიმრებულ იქმნან 10, 8 და 5 თთვით. ამას კიდევ ხონთქარმა თავისი განკარგულებაც დაუმატა, რომ ტრიპოლისში უნდა იქმნან გაგზავნილნიო. ბ. ნელიდოვი კმაყოფილი დარჩა ამ გადაწყვეტილებისა და მადლობა უთხრა ხონთქარს, რომელმაც ბძანა, დიდად ვწუხვარ, რომ ეს ამბავი მოხდაო.

პეტერბურგის ბირჟა, 11 მაისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველისა. | გარიგებისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 97 |
| ტრამოყნის კუპონები . . | — „ | „ | 139½ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 08 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 228 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | 213 | — „ | — „ |
| —მესამისა . . . | — „ | — „ | 213 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 99 37 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | 99¼ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | 86½ | — „ | — „ |


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

გენერალი დიმიტრი გიორგის ძე თაე. ვეზიროვი რკინის გზის ახლო სტ. მიხაილოვსა და სოფელს ოსიაურში ჰყიდის ორი ათასს ფუთს სიმინდსა და ოთხი ათას ფუთს პურსა. მსურველს შეუძლიან მიბრძანდეს და ფასზე მოვურიგდებით.

სილამაზე და სინაზე სახისა

**არჟის კრემი**

კოსმეტიკა ა. ენგლუნდისა

ეს საშუალება სპობს ჭორფლს, პირის სიყვითლესა და ლაქას, მუწუკს, ჭმუხვნს, ღუდღუდს და სხ. პირი-სახეს ულამაზებს და უჭაბუკებს ადამიანს. თითო ბანკა ღირს 1 მან., გაგზავნით 2 მან., ორი ბანკა გაგზავნით 3 მან.

სიყალბის ასაცილებლად მყიდველებს ვსთხოვთ ყოველს ბანკაზედ გასინჯონ, რომ ეტიკეტს წითელის მელნით ჰქონდეს ხელ-მოწერილი ა. ენგლუნდი და ზედ მარკა ეკრას სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიისა. უმთავრესი საწყობი იმყოფება ს.-პეტერბურგს, სპბ. საკოსმეტიკო ლაბორატორიაში, ა. ენგლუნდთან, ლიტეინის ქუჩაზედ, 32. (5—1)

ჩვენ წავართვით ძმათა პეტროკოკინოს ოდესის ფირმას იმის უფლება, რომ გვიდოთ ჩვენი.

**საზოგადო წასასმელი**

ლითონთა საწმენდავად

საუკეთესო ღონისძიება

მთელის ქვეყნის მიროზედ!

წავართვით იმ მიზეზით, რომ იგი საქვეყნოდ აღიარებულ ჩვენის ლითონთა საუკეთესო წასასმელის მაგიერ ყალბს წასასმელსა ჰყიდის, ჩვენის ფაბრიკის უუთის მსგავსს უუთში გაკეთებულს.

—ᲨᲔᲛᲝᲛᲙᲔᲗᲔᲚᲔᲑᲡ ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲛᲝᲒᲕᲘᲙᲕᲔᲗᲝᲜ.




მყიდველებსა ვთხოვთ ყურადღება მიაქციონ აქ დაბეჭდილს სურათს ჩვენის ფაბრიკის მარკისას. ეს სურათი ლითონის წასასმელის ყველა კოლოფზეა. თუ კოლოფს ასეთი სურათი არა აქვს და მხოლოდ ამისი მსგავსია, ყალბი იქნება. (26—22)

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

ᲗᲮᲖ. Დ—ᲠᲘᲡ ᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲡᲐ.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—დის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან. (40—3)

**ᲠᲫᲘᲡ ᲤᲥᲕᲘᲚᲘ ᲜᲔᲡᲢᲚᲔᲡᲘ** ჰღირს 1 მან.




ძუძუ-მწოვარა ბავშვთა საზრდოებლად

უკეთესია ყველა აქამდე მოგონილ საშუალებათაგან, რომელიც-კი დედის რძის მაგიერობასა სწევს. იგი ნოყიერია, ადვილად მოსანელებელი და ყოველი ბავშვი კმაყოფილებით ეწყობა.

მოწონებულია აგრეთვე ეს რძის ფქვილი ᲡᲐᲖᲠᲓᲝᲓ ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ, თუ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲙᲣᲭᲘ ᲐᲥᲕᲡᲗ.

ᲬᲧᲐᲚ-ᲒᲐᲛᲝᲪᲚᲘᲚᲘ, ᲒᲐᲡᲥᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲫᲔ ᲜᲔᲡᲢᲚᲔᲡᲘ ჰᲦᲘᲠᲡ 85 ᲙᲐᲞ.

ისყიდება ტ ფ ი ლ ი ს ს: კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობასთან, ა. წურინოვთან, ა. პოპოვთან, გ. ა. პოპოვთანვე, ვ. გრიგნაკთან და აგრეთვე რუსეთის იმპერიის ყველა აფთიაქებსა და საწვრილმანო მაღაზიებში.

უმთავრესი საწყობი ს.-პეტერბურგს, ყაზანის ქუჩა, № 3; მოსკოვს, პოკროვკაზე, ეგოროვის სახლებში ალექსანდრე ვენცელთან.

ერთად ერთი აგენტი მთელის რუსეთისა *Александръ Венцель*

მაქვს პატივი საზოგადოებას ვაცნობო, რომ მე პასუხის-გებასა ვკისრულობ მხოლოდ იმ თუნუქის ჭურჭლისათვის, რომელსაც ლურჯი ბეჭედი აქვს და რომელზედაც ხელია მოწერილი ალექსანდრე ვენცელისა, ჩემის ერთად-ერთის აგენტისა მთელს რუსეთში.

ჰენრიხ ნესტლე, ვევეში (შვეიცარიას). (12—10)

# ᲙᲑᲘᲚᲘ ᲐᲚᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲡᲢᲙᲘᲕᲓᲔᲑᲐ

თუ იხმარებენ

ᲦᲘᲠᲡᲗᲐ ᲛᲐᲛᲐᲗᲐ ᲑᲔᲜᲔᲓᲘᲥᲢᲔᲚᲗ ᲒᲐᲛᲝᲒᲝᲜᲘᲚᲡ ᲔᲚᲘᲥᲡᲘᲠᲡ

სულიაკის სააბატოში (GIRONDE)

ეს ელიქსირი გამოგონილია **1373** წ. პრიორის პეტრე ბურსოს მიერ

ᲓᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚᲘ

ბრიუსელში 1880 წ. და ლონდონში 1884 წ.




ყოველ დღე ამ ელიქსირის ხმარებით ადამიანს კბილები ვნახვება გაფუჭებისაგან, უთეთრდება, ღრძილები უმაგრდება და პირში საუცხოვო გემო ეძლევა.

ჩვენ მართლაც-და სამსახურს ვუწევთ ჩვენს მკითხველებს, თუ იმის ყურადღებას ამ სასარგებლო წამალზედ მივაქცევთ, კბილის ტკივილის ამ საუკეთესო საშუალებაზედ.

ამ ელიქსირს გარდა, მამა ბენედიქტელნი აკეთებენ აგრეთვე კბილის საწმენდს ფხვნილსა.

ეს წამლები და აგრეთვე ელიქსირი ყველა დიდს აფთიაქსა და საატიაქო და საპარფიუმერო მაღაზიაში შეუძლიან მსურველმა იყიდოს.

უმთავრესი აგენტი: Jeguin, Bordeaux, rue Croix de Jegucy. № 106. (208—11)


# ᲜᲣᲡᲮᲐ

ქუთაისის მიწეილის სათავად-აზნაურო ბანკის

ᲒᲘᲠᲐᲕᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲗᲐ,

გამოსულთა მეოც-და-შვიდე ტირაჟში, რომელიც მოხდა

1 მაისს 1890 წლისას,

რიცხვით 77,700 მანათისა

ა) 43½ წლის ვადით:

100 მანათის ღირსებისა

2 სერიისა . . . . . . . . № 20.
5 „ . . . . . . . . №№ 160, 162, 163, 166 და 168.
7 „ . . . . . . . . „ „ 238, 239, 240 და 21.
შემდეგის სერიებისა . . . . . . „ „ 989, 993, 1009, 1012, 1013, 1110, 1111, 1113, 1117, 1257, 1258, 1278, 1315, 1342, 1457, 1466, 1498, 1543 და 1544.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა. . . . . . . . № 39.
4 „ . . . . . . . . „ 39.
6 „ . . . . . . . . „ 97.
შემდეგის სერიებისა . . . . „ 426.

1000 მან. ღისებისა

შემდეგის სერიებისა. . . . . № 316.

ბ) $18\frac{7}{12}$ წლის ვადით

100 მან. ღირსებისა

3 სერიისა. . . . . . . . № 21, 22 და 23.
7 „ . . . . . . . . №№ 280, 281 და 282.
შემდეგის სერიებისა . . . . . „ „ 812, 815, 816, 817, 819, 1065, 1066, 1067, 1069, 1254, 1255, 1256, 1257, 1259, 1377, 1379, 1381, 1382, 1383, 1611, 1635, 1944, 1945, 2063, 2064, 2065, 2127, 2129, 2130, 2131, 2132, 2412, 2425, 2426, 2568, 2569, 2570, 2578, 2782, 2783, 2785, 2786, 2787, 2788, 2851, 2852, 2853, 2854, 2900, 2901, 2902 და 2903.

500 მან. ღირსებისა

3 სერიისა. . . . . . . . № 20.
4 „ . . . . . . . . „ 9.
7 „ . . . . . . . . „ 38.
შემდეგის სერიებისა . . . . . . „ 396, 397, 586, 493, 500, 502, 608, 609, 655 851, 1028, 1029 და 1139.

1000 მან. ღირსებისა

2 სერიისა. . . . : . . . . №№ 27 და 32.
3 „ . . . . . . . . „ „ 22.
4 „ . . . . . . . . „ „ 38.
7 „ . . . . . . . . „ „ 67 და 70.
შემდეგის სერიებისა. . . . . „ „ 541, 542, 543, 576, 577, 578, 579, 581, 582, 583, 584, 585, 586, 906, 907, 908, 1216, 1218, 1220, 1222, 1224, 1226, 1475, 1477, 1479, 1481, 1482, 1483, 1485, 1486, 1487, 1488, 1489, 1491, 1493, 1494, 1495, 1496, 2093, 2094, 2096, 2098, 2099, 2100, 2554, 2555, 2556, 2557, 2558, 2559, 2560 და 2890.

ს ხ ო ლ ი ო:

1) ფულის მიღება გირავნობის ფურცლებზედ, რომელნიც ამ მეოც-და-შვიდე ტირაჟში გამოვიდნენ, და აგრეთვე მიმომდინარე კუპონებზედ დაიწყება 1890 წლის 1 ივლისიდგან და შემდეგ ამავე ვადიდგან გაუქმებულ იქნება ზემოხსენებულს ფურცლებზე სარგებლის ძლევა.

2) გირავნობის ფურცლებს ფულის გადახდის დროს თან უნდა ჰქონდეს ყველა კუპონები იმ დროისა, რა დროც ზემოდ არის ნაჩვენები; თუ კუპონები სულ არ იქნება და დააკლდება, მაშინ დაკლებულ კუპონების ფასი გირავნობის ფურცელთა ღირებულ ფულიდგან გამოირიცხება.

3) ტირაჟში გამოსულ გირავნობის ფურცლებზე და აგრეთვე ამ ფურცელთა კუპონებზე ფულის მიღება შეიძლება ქ. ქუთაისს ბანკის გამგეობაში, შეიძლება აგრეთვე ს.-პეტერბურგს სახელმწიფო ბანკსა და ბ-ნ ვაველბერგის საბანკირო სახლში და ამას გარდა სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებათა და კანტორებში.

4) ამ ნუსხაში ნაჩვენებია ნომრები მხოლოდ პირველის შვიდის სერიისა, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები განცალკევებულია პირველიდგან დაწყებული შემდეგ სერიებში, რეიდგან დაწყებული სერიების ნომრები არ არის ნაჩვენები, რადგან ამ სერიების გირავნობის ფურცელთა ნომრები ერთი-ერთმანეთს მისდევს და, მაშასადამე, არ განმეორდება.

ბანკის გამგეობა.

Доз. ценз. Тифлисъ, 14-го Мая 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Баронской и Лорисъ-Мелик. д. бр. Месхіевыхъ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე